საქართველოს მთავრობის

დადგენილება №625

2020 წლის 15 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ნოემბრის №355 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ნოემბრის №355 დადგენილებაში (სსმ, №154, 25/11/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების“ დანართ №3-ში:

1. პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. დაემატოს 3^1 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„3^1. ქვეყანაში არსებული პანდემიის გათვალისწინებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პირველადი ჯანდაცვის ექიმების ცხელი ხაზის მოკლე ნომერი – 1522, რომელიც ამ დადგენილების ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში ფუნქციონირებს „საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ნოემბრის №355 დადგენილებით საგანგებო (ექსტრემალური) სამსახურების ერთიანი სამნიშნა მოკლე ნომრების მიმართ განსაზღვრული რეგულაციებით, ხოლო შემდეგ გააგრძელებს ფუნქციონირებას როგორც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ცხელი ხაზის მოკლე ნომერი.“.

3. მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ცხელი ხაზების ნუმერაცია:

ორგანოების დასახელება	მოკლე ნომრები
საქართველოს პარლამენტი	141
საქართველოს მთავრობა	151
საქართველოს სამინისტროები	1400-1409, 1500-1509
საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ერთიანი საინფორმაციო სამსახურის ნომერი, რომელიც დროებით გადაეცემა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ს“, საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების შედეგად გამოწვეულ მოქალაქეთა პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებზე ოპერატიული რეაგირების მიზნით ერთიანი სამთავრობო ცხელი ხაზის ამოქმედებისთვის	144
აჭარისა და აფხაზეთის (დროებით ქ. თბილისში) ა.რ.-ების უმაღლესი საბჭოები	142

აჭარისა და აფხაზეთის (დროებით ქ. თბილისში) ა. რ.-ების მთავრობები	143
აჭარისა და აფხაზეთის (დროებით ქ. თბილისში) ა.რ.-ების სამინისტროები	1450-1459
სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციები	146
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	1471
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	1472
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – იუსტიციის სახლი	1474
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პირველადი ჯანდაცვის ექიმების ცხელი ხაზი	1522
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ – საფინანსო-ანალიტიკური სამსახური	1551
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ – შემოსავლების სამსახური	1555; (1552-1554, 1556-1559 გაფორმების ეკონომიკური ზონები)
სსიპ – საპენსიო სააგენტო	1480
საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	1481
საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ – საერთო სასამართლოების დეპარტამენტი	1482
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო	1483
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი	1499
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – აწარმოე საქართველოში	1525
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ცხელი ხაზი	1272
სსიპ – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო	1484
სსიპ – იურიდიული დახმარების სამსახური	1485
საქართველოს მთავრობის რეზერვი	1486-1489, 1490-1498, 1520-1521, 1523-1524, 1526-1529, 154, 156-159

.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**